

## შეტყობინება მეცხრე

ისრაელის შვილებს არ ჰყავდათ მეფე, და თითოეული აკეთებდა იმას,  
რაც სწორი იყო მის თვალში

ადგილები წერილიდან: მსაჯ. 2:10-18; 3:7-15; 8:33-35; 10:6-7; 13:1; 17:5-6;  
18:1, 30-31; 19:1; 21:25

- I. დეგრადაციის გამო ისრაელი აღმოჩნდა ქაოსის მდგომარეობაში მმართველობაში, თაყვანისცემისა და ზნეობრიობაში – მსაჯ. 3:7-15; 8:33-35; 13:1; 17:5-6; 18:30-31:
- მას შემდეგ, რაც ისრაელის შვილებმა მოიპოვეს მიწა როგორც თავიანთი მემკვიდრეობა, ისინი არ დაემორჩილნენ ღმერთის ბრძანებას – მთლიანად განედევნათ და გაენადგურებინათ შვიდი ტომი, მცხოვრები ქანაანში – 1:27-36.
  - შედეგად ისრაელის შვილები ემსახურებოდნენ თავიანთ ღმერთებს, ამის მეშვეობით აკეთებდნენ ბოროტს ღმერთის თვალში – 2:10-18.
  - ისრაელის შვილებმა მიატოვეს უფალი ღმერთი თავიანთი მამების, ღმერთი, რომელმაც გამოიყვანა ისინი ეგვიპტის მიწიდან, და დაიწყეს სიარული იმ ადამიანების ღმერთების უკან, რომლებიც იყვნენ მათ გარშემო; ისინი თავს უხრიდნენ მას და იწვევდნენ იეჰოვას რისხვას – 10:6-7.
  - ღმერთმა გადასცა ისინი გამანადგურებლების ხელში, და ღმერთმა გაუიდა ისინი და გადასცა მათი მტრების ხელს, რათა ისინი ვეღარ წამომდგარიყვნენ; ყოველთვის, როდესაც ისინი გამოდიოდნენ, უფლის ხელი იყო მათ წინააღმდეგ ბოროტებაში – 2:11-15.
  - მსაჯულთა საუკენე შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ბნელ პერიოდად ისრაელის ისტორიაში; ასევე ეს იყო ტრაგიკული პერიოდი.
  - იმ დროს ისრაელის შვილებს შორის იყო ჯანები ღმერთის წინააღმდეგ, კერპთაყვანისცემა (თავები 17-18), შინაგანი ბრძოლები (თავი 9), მტრობა და დაპირისპირება ტომებს შორის (თავები 20-21), სიძვა (თავი 19), წაბილწვა, სასტიკი მკვდელობები, და ყოველგარი ბოროტება.
- II. იმ დღეებში არ იყო მეფე ისრაელში; თითოეული აკეთებდა იმას, რაც სწორი იყო მის თვალში“ – 21:25:
- როდესაც ისრაელის ხალხმა თქვა, რომ მათ შორის არ არის მეფე, ეს ნიშნავდა, რომ მათ უგულებელყვეს ღმერთი და მისი სტატუსი და არ აღიარებდნენ ღმერთის მეფობას – 17:6; 18:1; 19:1.
  - მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის სავანე იყო სილომში და მდგდელმთავარს პქონდა ურიმი და ტუმიმი, ისრაელში არ იყო მთავრობა, მმართველობა, რადგან ისრაელმა უგულებელყო ღმერთი და მისი სტატუსი როგორც თავიანთი მეფისა, და ამიტომ მსაჯულთა წიგნში არ იყო ღმერთის გამოხატულება – 18:31; გამ. 28:30, შენ. 1.
  - ვინაიდან მსაჯულთა დროს ისრაელში არ იყო მეფე, ისრაელის შვილები აკეთებდნენ იმას, რაც იყო სწორი მათ თვალში, და შედეგად ისინი გახდნენ გამოუსადეგარნი და გახრწილნი – მსაჯ. 17:6; 18:1; 19:1; 21:25:

1. მოსემ უთხრა ისრაელის ხალხს, რომ როდესაც ისინი შევლენ კეთილ მიწაზე, მათ არ უნდა გააკეთონ ის, რაც სწორია მათ თვალში, მაგრამ არ არის სწორი ღმერთის თვალში – რჯლ. 12:8-14.
  2. სატანამ აიძულა ისრაელის ხალხი, გაეკეთონა ის, რაც სწორია მათ თვალში, ემოქმედათ უკანონოდ და უღმერთოდ, და მოქმორებინათ ღმერთის შემკავებელი ზემოქმედება; ეს ნაჩვენებია მსაჯ. 17-18; 19:1 და 21:25-ში.
  3. ქრისტიანები დღეს ხშირად ამბობენ, რომ მათი შეხედულებით, რადაც არის სწორი, და რაღაც არის არასწორი; ამგვარად ცხოვრება ნიშნავს იმის გაკეთებას, რაც არის სწორი ჩვენს თვალში.
  4. საშინელებაა, გავაკეთოთ ის, რაც სწორია ჩვენს თვალში; ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც სწორია ღმერთის თვალში – რჯლ. 12:8.
- დ. როდესაც ისრაელში არ იყო მეფე, იქ არ იყო ძალაუფლება, და ადამიანები უბრალოდ აკეთებდნენ იმას, რაც მათ უნდოდათ; სწორედ ასე ხდება დღევანდელ ბოროტ საუკუნეშიც – ქვეყნიერებაშიც და ქრისტიანობაშიც როგორც რელიგიოზურ სისტემაში – ეფეს. 2:2, 12.
- გ. უფლის აღდგენაში ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ უკანონობას, რომელიც ნაჩვენებია მსაჯულთა წიგნში, და ვიცხოვროთ ღმერთის მმართველობის ქვეშ ღმერთის სამეფოში და აღვასრულოთ ღმერთის ნება – ტიტ. 2:14; გალ. 1:4; მათე 6:10.
- III. ღმერთი არის საუკუნეების მეფე, ის, ვისაც გააჩნია აბსოლუტური ძალაუფლება მარადიულად, ის, ვინც არასოდეს არ იცვლება – 1 ტიმ. 1:17:**
- ა. ღმერთი, რომელიც ჩვენ გვწამს და რომელსაც ჩვენ ვემსახურებით და რომელიც რიგდება ჩვენში, – არის საუკუნეების მეფე, მარადისობის მეფე – მუხ. 17; 2 პეტ. 13:14.
  - ბ. ქრისტე დაიბადა, რათა იყოს მეფე, მმართველი, რომელიც მწყემსავს ღმერთის ხალხს, და ახლა ის არის მეფეთა მეფე და უფალთა უფალი – მათე 2:2, 6; გამოცხ. 19:16; 17:14:
    1. როგორც მეფე, ქრისტე არის იეჰოვა ღმერთი, და ის ასევე არის ადამიანი – ფსალ. 24:8, 10.
    2. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ქრისტე არის ჩვენი მეფე, რომელიც მეფობს ჩვენს გულებში, და ვაღიაროთ ქრისტეს მეფობა ადგილობრივ ეკლესიებში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ მისი მეფობის ქვეშ – ეფეს. 3:17; 1 ტიმ. 3:15; 6:15.
    3. ქრისტე მოვა როგორც მეფე დიდების – იეჰოვა მხედრობისა, დასრულებული სამერთიანი ღმერთი, განკაცებული გამარჯვებულ და მომავალ ქრისტეში, რომელიც იმეფებს ღმერთის მარადიულ სამეფოში – ფსალ. 24:7-10.
    4. ქრისტე, დავითის ტახტზე, მართავს თავის სამეფოს თავიდან ათასწლეულში, ხოლო შემდეგ ახალ ცასა და ახალ მიწაზე მარადიულად – ესაია 9:7; ლუკა 1:33, შენ. 1.

5. „მაშინ დამყარდება ტახტი სასიყვარული ზრუნვაში და [ის] დაჯდება მასზე ჭეშმარიტებაში დავითის კარავში“ – ესაია 16:5:
- ა) ქრისტეს მეფობა დავითის კარავში აღნიშნავს ნუგეშისცემას, გამხნევებას და აღდგენას.
  - ბ) ქრისტეს ტახტი იქნება დამტკიცებული სასიყვარულო ზრუნვაში, ნაზ სიყვარულში, და ის დაჯდება თავის ტახტზე ჭეშმარიტებაში, ანუ ჭეშმარიტობასა და ერთგულებაში – მუხ. 5.
  - გ) თუ ჩვენ ნებას მივცემთ ქრისტეს, იმეფოს ჩვენში, მოიტანოს სამეფო სასიყვარულო ზრუნვით, ჭეშმარიტობით, ერთგულებით, სამსჯავროთი და სამართლიანობით, ჩვენ გავხდებით ისეთივე, როგორიც ის, ამ სათხოებებში – მუხ. 5.

**IV. ჩვენ თავი უნდა დავადწიოთ უკანონობას და იმას, რომ ვიყოთ უკანონობის ჩამდენი, და გავაკეთოთ ის, რაც არის სწორი დმერთის თვალში, დმერთის მსახურების პრინციპის დამორჩილებით – ტიტ. 2:14; მათე 7:21-23:**

- ა. გავაკეთოთ ის, რაც სწორია ჩვენს თვალში, არის უკანონობა – მსაჯ. 21:25:
  1. „ცოდვა არის უკანონობა“, ამიტომ უკანონობა არის ცოდვა, და, პირიქით, ცოდვა არის უკანონობა – 1 იოანე 3:4:
    - ა) 1 იოანეს 3:4-ში სიტყვა „უკანონობა“, ანუ მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი არის კანონის გარეშე, აღნიშნავს, „ვიყოთ დმერთის ადამიანზე მმართველობის პრინციპის გარეშე, არ დავემორჩილოთ ამ პრინციპს“.
    - ბ) შევცოდოთ – ნიშნავს ვიყოთ კანონის გარეშე, ჩავიდინოთ დანაშაული კანონის წინააღმდეგ.
    - გ) დმერთის თვალში, ადამიანი სცოდავს, როდესაც ის მოქმედებს თავისი ბუნებისა და თავისი სწრაფვის თანახმად, დადის საკუთარი ნებით და ჯანყობს დმერთის ძალაუფლების წინააღმდეგ.
    - დ) უკანონობა არის ის, რომ ადამიანი არ აღიარებს დმერთის ძალაუფლებას და არ ემორჩილება დმერთის ძალაუფლებას.
    - ე) ჩავიდონოთ უკანონობა, ნიშნავს ვიცხოვროთ სიცოცხლით, რომელიც არღვევს დმერთის ადამიანზე ძალაუფლების პრინციპს და არ ემორჩილება ამ პრინციპს; დღეგანდელი საუკუნე სავსეა უკანონობითა და ჯანყით.
    - ვ) უკანონობაში ადამიანი არა მარტო ჯანყობს ძალაუფლების წინააღმდეგ, ის ასევე მოქმედებს ისე, თითქოს კანონი არ არსებობს.
- 2. იმისათვის, რომ გაწმინდოს თავისთვის განსაკუთრებული ხალხი როგორც თავისი განსაკუთრებული საკუთრება, ქრისტემ გადასცა თავისი თავი, რათა გამოვესყიდეთ ჩვენ ყოველგვარი უკანონობისაგან – ტიტ. 2:14.
- ბ. ვინც მეუბნება: „უფალო, უფალო! ყველა როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც ადასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას“ – მათე 7:21:
  1. მოვუხმოთ უფალს საკმარისია იმისათვის, რომ გადავრჩეთ, მაგრამ იმისათვის, რომ შევიდეთ ცათა სამეფოში, ჩვენთვის ასევე საჭიროა,

ავასრულოთ ზეციერი მამის ნება – რომ. 10:13; 12:2; მათე 12:50; ეფეს. 5:17; კოლ. 1:9.

2. ვინაიდან ცათა სამეფოში შესასვლელად საჭიროა შევასრულოთ ზეციერი მამის ნება, ეს, აშკარად, განსხვავდება დმერთის სამეფოში ხელახლაშობის მეშვეობით შესვლისაგან – იოანე 3:3, 5:
- ა) დმერთის სამეფოში შესვლის უფლებას ადამიანი დებულობს იმის მეშვეობით, რომ ის იბადება ღვთაებრივი სიცოცხლისაგან – 1:12-13; 3:5-6.
  - ბ) ცათა სამეფოში შესვლის უფლებას ადამიანი დებულობს იმის მეშვეობით, რომ ის ცხოვრობს ღვთაებრივი სიცოცხლით – მათე 7:21; 12:50.
- გ. უფალმა იესომ უსაყვედურა მათ, ვინც წინასწარმეტყველებდა, დევნიდა დემონებს და ახდენდა მის სახელში ძალების გამოვლინებას, რადგან როგორც „უკანონობის ჩამდენნი“, ისინი, აკეთებდნენ ამას თავისგან, და არა დმერთის ნების მოსმენიდან – 7:23:
1. სამყაროში არის ორი პრინციპი – დმერთის ძალაუფლების პრინციპი და სატანის ჯანყის პრინციპი – საქმე 1:7; ესაია 14:13-14:
    - ა) ჩვენ ვერ შევძლებთ, ვემსახურებით, ერთი მხრივ, დმერთს, ხოლო, მეორე მხრივ, ვიაროთ ჯანყის პრინციპით; ჩვენ უნდა ზურგი შევაქციოთ უკანონობის პრინციპს და უარი ვთქვათ ჯანყზე – მათე 28:18; იუდა. 11.
    - ბ) დმერთის მსახურება პირდაპირ დაკავშირებულია მის ძალაუფლებასთან; თუ ჩვენ არ გადავწყვეტთ ძალაუფლების საკითხს, ჩვენ გვექნება პრობლემები ჩვენი მსახურების ყველა სფეროში.
  2. დაე, უფალმა შეინარჩუნოს ჩვენი მსახურება დმერთის ძალაუფლებისა და მამის ნების პრინციპის დამორჩილების თანახმად – საქმე. 1:7; მათე 7:21; 12:50.

V. ქაოსი მმართველობაში, თაყვანისცემასა და ზნეობრიობაში, რომელზეც საუბარია მსაჯულთა წიგნში, გამოხატავს სატანურ ქაოსს ძველ ქმნილებაში – დაბ. 3:1-5; გამოცხ. 20:10-21:4:

- ა. სამყარო იმყოფება ქაოსის მდგომარეობაში; ეს ქაოსი დღეს არის სათავე ტანჯვისა ქვეყნიერებაში, და სანამ ქმნილებაში არის ქაოსი, ქვეყნიერებაში იქნება ტანჯვა – რომ. 8:18-22.
- ბ. სამყაროს ისტორია არის ისტორია დმერთის სახლმშენებლობისა და სატანური ქაოსისა – დაბ. 1:1-2, 26; გამოცხ. 20:10-21:4:
  1. სატანა, ეშმაკი, არის სათავე და ელემენტი ბოროტი ქაოსისა – მათე 16:23; გამოცხ. 2:9-10; 2 კორ. 2:11; 1 პეტ. 5:8.
  2. თვით დმერთი არის ღვთაებრივი სახლმშენებლობა, და ის შემოვიდა ჩვენში როგორც მმართველობა, მოწყობა და გეგმა, რათა ყველაფერი მოეყვანა წესრიგში – ეფეს. 1:10; 3:10.

3. ბიბლიაში და ჩვენს განცდაში სატანური ქაოსი ყოველთვის თან ახლავს დვთაებრივ სახმშენებლობას და სინამდვილეში ეხმარება დმერთის სახლმშენებლობას – მუხ. 9.
- გ. ჩვენ, როგორც მათ, ვინც ცხოვრობს ქაოსში, ჯანყსა და უკანონობაში, უნდა გვქონდეს ნათელი ხედვა დმერთის სახლმშენებლობისა – ფსალ. 2:1-6; ოგავ. 29:18ა; ეფეს. 3:9:
1. ჩვენ უნდა ვიყოთ ამ ხედვის სელმძღვანელობის, მმართველობისა და მიმართულების მოცემის ქვეშ – საქმე. 26:19.
  2. ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერები და ურყევები დმერთის სახლმშენებლობის, დმერთის მარადიული ნების, ხედვაში – ეფეს. 1:10; 3:9; გამოცხ. 4:11; 1 კორ. 15:58; ებრ. 12:28.
- დ. გამარჯვებულები იმარჯვებენ სატანურ ქაოსზე ძველ ქმნილებაში და ახორციელებენ დვთაებრივ სახლმშენებლობას ახალი ქმნილებისათვის – 1 ტიმ. 1:4; ეფეს. 1:10; 3:9-10; 2 კორ. 5:17; გალ. 6:15:
1. გამარჯვებულები არ აღწევენ თავს სატანურ ქაოსს; ნაცვლად ამისა ისინი იმარჯვებენ დამანგრეველ სატანურ ქაოსზე და ზეიმობენ აღმშენებელ დვთაებრივ სახლმშენებლობაში – 1 ტიმ. 1:3-4, 19-20; 4:1-2; ტიმ. 3:10; 2 ტიმ. 1:15; 4:8.
  2. იმ დროს, როდესაც გამარჯვებულები იტანჯებიან ქაოსისაგან, ისინი „ივსებიან ძალით მადლში, რომელიც ქრისტე იესოშია“ (2:1) და დებულობენ შესაძლებლობას იდგნენ დვთაბერივი სახლმშენებლობისათვის და გამოავლინონ ის თავიანთი ცხოვრებით – 1:10-15; 3:14-17; 4:2, 5, 7, 18.